კახა ხოშტარია

დ.თ. 1944 წლის 29 იანვარი,ქ. თბილისი.
განათლება: სტუ. თბილისი. 1965წ. ელექტროკავშირის ინჟინერი.
ტ.მ.კ. ტელეკომუნიკაციის სფეროში.

სამუშაო:
სტუ, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორი.

მოკლე სამხატვრო ბიოგრაფია
ხატავს ბავშვობიდან. სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია. 1978 წელს მის ნახატებს გაეცნო გამოჩენილი ქართველი მხატვარი და საზოგადო მოღვაწე კობა გურული, რომელმაც დიდი ინტერესით დაათვალიერა კახა ხოშტარიას ნამუშევრები და შესთავაზა გამოფენა თავის სახელოსნოში. 1979 წლის დასაწყისში მთელი თვის განმავლობაში გაგრძელდა გამოფენა. კობა გურულთან შეხვედრამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კახა ხოშტარიას შემოქმედებით წინსვლაში.

სქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობის პარალელურად კახა ხოშტარია დროგამოშვებით მონაწილეობდა სხვადასხვა გამოფენებში:

1979 წლის მაის-ივნისი, პერსონალური გამოფენა ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში (ფილარმონიის შენობა);

1979 წლიდან დაწყებული, 1995 წლის ჩათვლით, კახა ხოშტარია მონაწილეობდა თვითნასწავლ მხატვართა და ხალხური შემოქმედების ოსტატთა ნამუშევრების, თითქმის ყველა რესპუბლიკურ გამოფენაში.

1981 წ. პერსონალური გამოფენა ბუქარესტის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სტაჟირების პერიოდში;

1982 წ. საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა მხატვრული ნამუშევრების გამოფენა. გამომცემლობა "მერანი"-ს საგამოფენო დარბაზი.

1983 წ. შემოქმედებითი ჯგუფის, "სპექტრი"-ს გამოფენა. "მერანი".

1983 წ. პერსონალური გამოფენა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ამჟამად, (სტუ).

2002 წ. ხალხური შემოქმედების ფესტივალი. ეროვნული გალერეა.

2011 წ. პერსონალური გამოფენა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში.

გამოფენების შესახებ ინფორმაცია ასახულია იმდროინდელ პრესაში. მათგან აღსანიშნავია ცისანა ნადირაძის სტატია "ცისა და მიწის ფერები". "თბილისი", 30 ივნისი, 1979 წ.

2011 წ. ინფორმაცია პერსონალური გამოფენის შესახებ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ასახულია სტუ-ს ინტერნეტ გამოცემაში. http://news.gtu.ge 21-10-2011, 22:22.

ნამუშევრები კერძო კოლექციებში: საქართველო, რუმინეთი, ბულგარეთი, რუსეთი, გერმანია, ჩეხეთი, ჰოლანდია, აშშ, ირლანდია, ინგლისი, პორტუგალია, საფრანგეთი.